საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 23 02973442

11/10/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას

ქალბატონო თინათინ,

2023 წლის 02 ოქტომბრის №7309/3-9/23 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, რომ სახელმწიფო უწყებებმა წინასწარ იცოდნენ ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მოსალოდნელი სტიქიის შესახებ და არაფერი მოიმოქმედეს, არ შეესაბამება სიმართლეს. შეტყობინება, რომელსაც საზოგადოების სიცრუეში შეყვანისთვის არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაგზავნილ იქნა 2023 წლის 3 აგვისტოს 15:05 საათზე და არა, 2 აგვისტოს. იგივე შინაარსის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ Facebook გვერდზეც შეტყობინების დაგზავნიდან 4 წუთში, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია თავად ნახოს.

აქვე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული დროიდან რამდენიმე წუთში, ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მომხდარი მეწყრის შესახებ პირველი ზარებიც შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში „112“.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ არაერთხელ განმარტა, რომ შეტყობინება იყო ზოგადი ხასიათის და ამ კონკრეტული შეტყობინებით, სტიქიის საშიშროების პროგნოზი და ზუსტი ლოკაციის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. შეტყობინებაში არ ყოფილა ნახსენები რაჭის რეგიონი და ფაქტობრივადაც, 2023 წლის 3-4 აგვისტოს კურორტ შოვის ტერიტორიაზე ნალექი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც მსგავსი პრაქტიკა არსებობს და სისტემატურად იგზავნება შეტყობინებები ამინდის გაუარესებასთან ერთად. თუმცა, ეს შეტყობინებები უკავშირდება სტანდარტულ მეტეოროლოგიურ მოვლენებს, როგორებიცაა: უხვი ნალექი, ძლიერი ქარი, მაღალი ტემპერატურა და ა. შ. და არ მოიცავს ისეთ სტიქიურ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა კურორტ შოვში 2023 წლის 3 აგვისტოს. ამასთან,

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შესაბამისი სპეციალისტების პირველადი დასკვნით არის დადასტურებული, რომ შოვში სტიქიის გამომწვევი მიზეზი გახდა კლდეზვავი (კლდის მასშტაბური მოწყვეტა) რამაც განავითარა მეწყრული და ღვარცოფული მოვლენები, ანუ, ორ სხვადასხვა პროცესთან და მოვლენასთან გვაქვს საქმე და არაფერი აქვს საერთო მოკლე ტექსტური შეტყობინებით გავრცელებულ გაფრთხილებას შოვში განვითარებულ სტიქიურ მოვლენასთან, რადგან მსგავსი ტიპის სტიქიური მოვლენა პროგნოზირებას არ ექვემდებარება.

შესაბამისად, აღნიშნული შეტყობინება ვერ იქნებოდა 2023 წლის 3 აგვისტოს კურორტ შოვში განვითარებული სტიქიური მოვლენების წინასწარ პროგნოზირების საფუძველი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური
სამსახურის უფროსი
მღებრიშვილი თეიმურაზ